



საქართველოს ბიზნეს ასოციაცია



მოკლედ ეკონომიკაზე

თებერვალი, 2017



საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

დეკემბერში ეკონომიკის რეალურმა ზრდამ 0.3% შეადგინა

2016 წლის პირველი სამი კვარტლის ჯამური მთლიანი შიდა პროდუქტი 24 მლრდ. ლარს აჭარბებს, რაც წინა წლის შესაბამის მონაცემს 5.3%-ით აღემატება. თუმცა აღნიშნულ პერიოდში მშპ-ის რეალურმა ზრდამ მხოლოდ 2.6% შეადგინა.

მთლიანი შიდა პროდუქტის უდიდესი ნაწილი ვაჭრობის სექტორში იქმნება. თუმცა, გასული წლის სამი კვარტლის განმავლობაში ამ სექტორში მხოლოდ 1.3 პროცენტის რეალური ზრდა იყო.

რაც შეეხება სექტორებში შექმნილი შიდა პროდუქტის ნომინალური ღირებულების ცვლილებას, აღსანიშნავია მეტყვეობისა და ხე-ტყის დამზადების საქმიანობა, რომლის მოცულობა 29%-ით გაიზარდა და 49 მლნ. ლარი შეადგინა. თამბაქოს ნაწარმის წარმოება კი თითქმის განახევრდა და 7 მლნ. ლარს გაუტოლდა.


ცხრილი 1: მთლიანი შიდა პროდუქტი

	I-III კვ. 2015	I-III კვ. 2016*	ზრდა
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. GEL)	22 973.2	24 184.9	5.3%
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. USD)	10 305.8	10 439.7	1.3%
მშპ ერთ სულზე (GEL)	6 186.1	6 500.6	5.1%
მშპ ერთ სულზე (USD)	2 775.1	2 806.1	1.1%
მშპ-ის რეალური ზრდა (%)	2.9%	2.6%	

* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 1: სექტორების რეალური ზრდა




* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქსტატი

2016 წლის პირველი სამი კვარტლის მონაცემებით, სამთომოპოვებითი მრეწველობა კვლავ ლიდერია 19% რეალური ზრდით. ზრდა იყო, ასევე, მშენებლობის (13.4%) და სასტუმროებისა და რესტორნების (7.3%) სექტორებში. ამავე პერიოდში კლებით ხასიათდებოდა სატრანსპორტო სექტორი (-2.3%) და სოფლის მეურნეობა (-0.7%). ჯანმრთელობის დაცვისა და კავშირგაბმულობის სექტორები კი დაახლოებით 2015 წლის დონეზე შენარჩუნდა 0.2% და 0.4% რეალური ზრდით.

საქართველოს სტატისტიკის სამსახურის წინასწარი მონაცემებით, გასული წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი 0.3 პროცენტიანი რეალური ზრდა დეკემბერში დაფიქსირდა. ხოლო მთლიანად 2016 წლის რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 2.2% შეადგინა. საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად, აღნიშნულ ზრდაზე პოზიტიურად იმოქმედა ფისკალურმა სტიმულმა და ბიზნესის განწყობამ, რაც ინვეტიციებისა და ერთობლივი მოხმარების მატებაში აისახა. შედეგად, გასულ წელს გაიზარდა შიდა მოხმარება. ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითი გავლენა იქონია საგარეო ვაჭრობის დეფიციტმა, რაც სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებით არის მნიშვნელოვნად განპირობებული. ეროვნული ბანკი მიმდინარე 2017 წელს მომხმარებისა და ინვესტიციების შემდგომ ზრდას და საგარეო სავაჭრო დეფიციტის შემცირებას პროგნოზირებს და წლის ბოლოს მშპ-ის 4%-იან რეალურ ზრდას ელოდება.

გრაფიკი 2: მშპ-ის რეალური ზრდა



საქართველოს ეროვნული ბანკთან შედარებით უფრო პოზიტიურია მსოფლიო ბანკის პროგნოზი. მის თანახმად 2017 წელს რუსეთის და აზერბაიჯანისა ეკონომიკა ზრდას დაიწყებს, ასევე მნიშვნელოვნად

ნად გაუმჯობესდება მდგომარეობა ყაზახეთშიც. ამ ქვეყნებში გაზრდილია ეკონომიკური აქტივობა პოზიტიურად აისახება რეგიონის სხვა ქვეყნებზე. გაზრდილი ვაჭრობა და გზავნილები დადებითად იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკაზეც და მშპ-ის რეალური ზრდა 5%-ს გადააჭარბებს.

იანვარში, დეკემბერთან შედარებით, ფასების დონე 2.9%-ით გაიზარდა

2016 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 2.1% შეადგინა. გასულ წელს ინფლაციაში ყველაზე დიდი წვლილი ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ჯგუფის პროდუქციის ფასების ზრდამ შეიტანა, რაც ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის ზრდით იყო გამოწვეული. წლის ბოლოს ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურის გაუფასურებამ იმპორტირებული საქონლის ფასების და, შესაბამისად, იმპორტირებული პროდუქციის ინფლაციის ზრდა გამოიწვია. მეოთხე კვარტალში იმპორტირებულმა ინფლაციამ 1.6%, ხოლო ადგილობრივი საქონლის ინფლაციამ 2.2% შეადგინა.

2017 წლიდან თამბაქოს ნაწარმზე აქციზის ზრდის დაანონსებამ დეკემბერშივე მკვეთრად გაზარდა თამბაქოს ნაწარმის ფასი. ხოლო იანვარში, საგადასახადო ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ, თამბაქოს ნაწარმის ფასები 40.2%-ით გაიზარდა.

2017 წლის 1 იანვრიდან აქციზი ავტომობილებსა და ნავთობპროდუქტებზეც გაიზარდა. იანვარში ტრანსპორტის ფასების წლიურმა მატებამ 10.8% შეადგინდა. განსაკუთრებით გაძვირდა პირადი ავტომობილების ექსპლუატაცია (16.0%).

2017 წლის იანვარში, დეკემბერთან შედარებით, ფასების დონე 2.9%-ით გაიზარდა. ხოლო წლიურმა ინფლაციამ 3.9% შეადგინა. ყველაზე დიდი წვლილი წლიურ ინფლაციაში სწორედ იმ ჯგუფებმა შეიტანეს, რომელთაც აქციზის ზრდა შეეხო: ტრანსპორტი (1.35 პპ) და ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო (1.14 პპ).

ეროვნული ბანკის პროგნოზით 2017 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში ინფლაცია მოიმატებს, თუმცა კვლავ მიზნობრივი დონის (4%) ფარგლებში

შენარჩუნდება. მომდევნო კვარტლებში კი წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 5%-ს გადააჭარბებს. ფასების ასეთი მატება ნაწილობრივ აქციზის გადასახადის მატებით იქნება განპირობებული. თუმცა, იანვრის ბოლოს 25 საბაზისო პუნქტით გაზრდილი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და მონეტარული პოლიტიკის დაგეგმილი ეტაპობრივი გამკაცრება¹ ინფლაციის მაჩვენებლის შემცირებას შეუწყობს ხელს.

მიმდინარე წლის იანვარში ლარი კვლავ გაუფასურებას განაგრძობდა. ლარის საშუალო თვიურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარის მიმართ 2.70, ხოლო ევროს მიმართ 2.87 შეადგინა. თუმცა, ამავდროულად, თურქული ლირა ისევ გაუფასურდა და იანვრის ბოლოს 1 ლირა 0.71 ლარს გაუტოლდა. მთლიანობაში, იანვარში ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი თვიურად 0.4%-ით გაუფასურდა.


ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

2016 წლის ბოლო კვარტალში ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი მესამე კვარტალთან შედარებით 2.9%-ით გაუფასურდა, ხოლო რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურებამ 3.2% შეადგინა. მეოთხე კვარტალში ლარი აშშ დოლარის მიმართ 7.5%-ით, ხოლო ევროს მიმართ 3.8%-ით გაუფასურდა. ამავე პერიოდში ლარი 3.0%-ით გამყარდა თურქულ ლირასთან მიმართებაში და საშუალო გაცვლითმა კურსმა 0.76 შეადგინა.


საქონლით საგარეო ვაჭრობა

2016 წელს საქონლის ექსპორტი წლიურად 4.1%-ით შემცირდა და 2 114 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. საქონლის იმპორტი კი, C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტების გამორიცხვით, 7 233 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა², რაც 2015 წელთან შედარებით 0.7%-ით ნაკლებია.

გრაფიკი 3: ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ



გრაფიკი 4: საქონლით საგარეო ვაჭრობა (მლნ. USD)




* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქსტატი, საქართველოს ეროვნული ბანკი

1 საქართველოს ეროვნული ბანკის ანონსის თანახმად, მომდევნო კვარტლებში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 7%-მდე გაიზრდება.

2 2016 წლის განმავლობაში სულ 2 619 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტების იმპორტი განხორციელდა.


გრაფიკი 5: საქონლით საგარეო ვაჭრობა ქვეყნების მიხედვით (ათასი USD), 2016 წელი



2016 წლის იმპორტის მონაცემებით კანადა პირველ ადგილს, ხოლო ირლანდია მესამე ადგილას იკავებენ 1 791 მლნ. და 844 მლნ. აშშ დოლარით შესაბამისად. მაგრამ, ამ ორი ქვეყნის დაწინაურება სავაჭრო პარტნიორებს შორის სწორედ C ჰეპატივის მედიკამენტების იმპორტმა განაპირობა. ამ პრეპარატების მიახლოებითი ღირებულების გამოკლებით, კანადიდან და ირლანდიიდან განხორციელებული იმპორტი ჯამურად 16 მლნ. აშშ დოლარის ფარგლებშია³.

გასულ წელს სპილენძის მადნები და კონცენტრატები ძირითადად ბულგარეთსა და ჩინეთში გავიდა ექსპორტზე, ხოლო ფეროშენადნობების უდიდესი ნაწილი აშშ-სა და რუსეთში ექსპორტირდა. თხილის მთავარი საექსპორტო ბაზარი იტალია და გერმანია იყო. ღვინის მთავარ საექსპორტო ბაზრად კი ისევ რუსეთი რჩება. თუმცა, გასულ წელს, მნიშვნელოვნად გაიზარდა ღვინის ექსპორტი ჩინეთში. 2017 წლის იანვარში საქონლით საგარეო ვაჭრობის ბრუნვა წლიურად 22%-ით გაიზარდა და 651 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. თვის განმავლობაში განხორციელებული იმპორტის მოცულობა წინა წლის იანვართან შედარებით 15%-ით, ხოლო ექსპორტის მოცულობა 45%-ით არის გაზრდილი.

გრაფიკი 6: ექსპორტი უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით (ათასი USD), 2016 წელი




2016 წელს ტურისტების რაოდენობა 19%-ით არის გაზრდილი

2016 წელს 7.6%-ით გაიზარდა საერთაშორისო ვიზიტორების რიცხვი და 6.4 მლნ. შეადგინა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტურისტთა შემოსვლის ზრდა. 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს საქართველოში 19%-ით მეტი საერთაშორისო ტურისტი შემოვიდა (სულ 2.7მლნ. კაცი). ტურისტული ნაკადის მატებამ გაზარდა ვალუტის შემოღინებაც - ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2016 წელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები წლიურად 11.9%-ით გაიზარდა.


³ მიახლოებითი შეფასებით, 2016 წლის განმავლობაში კანადიდან დაახლოებით 1 782 მლნ, ხოლო ირლანდიიდან 837 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების C ჰეპატივის სამკურნალო მედიკამენტები შემოვიდა.

გრაფიკი 7: საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის (ათასი კაცი) და ვიზიტორებისაგან მიღებული შემოსავლების (მლნ. USD) დინამიკა



*მიახლოებითი შეფასება
წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

გრაფიკი 8: საქართველოში შემომსვლელი საერთაშორისო ვიზიტორების განაწილება ქვეყნების მიხედვით. 2016 წელი



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია


პირდაპირი ინვესტიციები რუსეთიდან განახევრებულია

2016 წლის პირველი სამი კვარტლის განმავლობაში საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა, წინასწარი მონაცემებით, ჯამურად 1.3 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც დაახლოებით 5%-ით აღემატება 2015 წლის შესაბამის მონაცემებს.

საგრძნობლად არის შემცირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დსთ-ის ქვეყნებიდან (-74.1%). პირდაპირი ინვესტიციები რუსეთიდან

განახევრებულია და 17.6 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. თუმცა აზერბაიჯანიდან განხორციელებული ინვესტიციები გაზრდილია და 433 მლნ. აშშ დოლარს აჭარბებს. ასევე მნიშვნელოვნად იმატა პირდაპირმა ინვესტიციებმა თურქეთიდან, ჩეხეთიდან და აშშ-დან.


გრაფიკი 9: ქვეყნების წილი მთლიანი პირდაპირ უცხოური ინვესტიციებში. I-III კვ. 2016 წელი



წყარო: საქსტატი

2016 წლის სამი კვარტლის განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 40% სატრანსპორტო სექტორში განხორციელდა. მეორე ადგილს კვლავ საფინანსო სექტორი იკავებს 13%-ით. ხოლო მესამე ადგილზე ენერჯეტიკის სექტორია (10.1%).

გრაფიკი 10: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორებში (მლნ. USD)




წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები

ფულადი გზავნილები 2016 წლის მეორე ნახევრიდან ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. სულ 2016 წელს საქართველოში მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა 1 151 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო წლიურმა ზრდამ 6.6% შეადგინა.

2015 წელთან შედარებით, რუსეთიდან მიღებული გზავნილები 38.2 მლნ. აშშ დოლარით არის შემცირებული და მისი წილი მთლიან გზავნილებში 34.3%-ია ნაცვლად 40.1%-ისა. ამავდროულად, გაზრდილია აშშ-ის, იტალიის, თურქეთისა და ისრაელის წილები მთლიან გზავნილებში.




2017 წლის იანვარში, წინასწარი მონაცემებით, მიღებული ფულადი გზავნილები წლიურად 26.1%-ით გაიზარდა და 83.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ასევე გაიზარდა საქართველოდან განხორციელებული ფულადი გზავნილები (+12.6%) და 13 მლნ. აშშ დოლარს გადააჭარბა.

კომერციული ბანკების სასესხო პორტფელი ზრდას განაგრძობს

2016 წელს კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, 10.7%-ით გაიზარდა. ეს ძირითადად შინამეურნეობებზე გაცემული სესხების მატებამ განაპირობა.

გრაფიკი 12: სესხების წლიური ზრდა გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით




2016 წლის ბოლო მდგომარეობით, კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მშპ-თან თანაფარდობა 56.9 პროცენტია. გაცემული სესხების 60% უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი. ამასთანავე, გაცემული სესხების 34.6% ეროვნულ ვალუტაშია და 6.4 მლრდ. ლარს შეადგენს. ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების 5.7% უმოქმედოა. ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებში 8.8%-ია უმოქმედო.

2016 წლის განმავლობაში, ინფლაციის კლების ფონზე, ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქება დაიწყო და პოლიტიკის განაკვეთი 8.0%-დან ეტაპობრივად 6.5%-მდე ჩამოწია. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირების ფონზე, კლებითი ტენდენციით ხასიათდებოდა საპროცენტო განაკვეთები კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე. მეოთხე კვარტალში ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე საშუალო შენონილმა წლიურმა საპროცენტო განაკვეთმა 17.6%, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე 9.5% შეადგინა. სესხების გაიაფების პარალელურად შემცირდა დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთებიც. დეკემბრის ბოლოს ლარში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი 7.7%-ს, ხოლო უცხოურ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე 3.1%-ს გაუტოლდა.

სამრეწველო პროდუქციის ინდექსი მატულობს

2017 წლის იანვარში სამრეწველო პროდუქციის ინდექსი წინა წლის დეკემბერთან შედარებით 2.3%-ით გაიზარდა, ხოლო წლიურმა ზრდამ 9.8% შეადგინა.

გრაფიკი 13: სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი



2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმა


2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლები 9 489 მლნ. ლარის ოდენობითაა გათვლილი, რაც 2016 წელთან შედარებით 934 მლნ. ლარით (11%) არის

გაზრდილი. ეს ზრდა ძირითადად საგადასახადო შემოსავლების მატებამ განაპირობა (840 მლნ. ლარით მეტი). სულ 2017 წელს დაგეგმილია 8 820 მლნ. ლარი საგადასახადო შემოსავლების მიღება.

2016 წლის ბიუჯეტთან შედარებით 2017 წლის ბიუჯეტში ხარჯები გაზრდილია 577.7 მლნ. ლარით და 9 121 მლნ. ლარს შეადგენს. 155.5 მლნ. ლარით არის გაზრდილი სუბსიდიები, 256 მლნ. ლარით მეტია სოციალურ უზრუნველყოფაზე გასაწევი ხარჯები, ხოლო შრომის ანაზღაურება 50 მლნ. ლარით მცირდება.

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო -540 მლნ. ლარია.

გრაფიკი 14: 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმა (მლნ. ლარი)



ბიბლიოგრაფია

- საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული პოლიტიკის ანგარიში. თებერვალი 2017
- საქართველოს ეროვნული ბანკი. საფინანსო სექტორის მიმოხილვა. თებერვალი 2017.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება. დეკემბერი 2016
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში. იანვარი 2017.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში. იანვარი 2017.
- „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, საქართველოს კანონი
- World Bank Group. Global Economic Prospects – Weak Investment in Uncertain Times. January 2017.

წინამდებარე გამოცემა მხოლოდ საინფორმაციო ხასიათისაა და არ ემსახურება საკონსულტაციო მიზნებს. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია არ არის პასუხისმგებელი გამოცემაში მითითებული წყაროების მონაცემების სიზუსტეზე.